

5 თებერვალი, 2018

# 04/03-583

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის მინისტრს  
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

ამ წერილით, გვსურს, თქვენი ყურადღება მივაპყროთ ახლადამოქმედებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ გარდამავალი დებულების (48-ე მუხლის პირველი პუნქტის), თქვენდამი დაქვემდებარებული სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის მიერ, არასწორად ინტერპრეტაციისა და გამოყენების შემთხვევებზე.

როგორც მოგეხსენებათ, 2018 წლის 1 იანვარიდან ძალადაკარგულია საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“; სანაცვლოდ, 2018 წლის 1 იანვარს ამოქმედდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“. კოდექსი ადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი საქმიანობების განხორციელებამდე, საქმიანობის ინიციატორის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ-ს) ჩატარების, ასევე, ამ შეფასების საფუძველზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს. კოდექსში გაწერილი ეს პროცედურები სრულიად განსხვავდება მისი წინამორბედით - „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით - დადგენილი პროცედურებისგან. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ შემოტანილ უმნიშვნელოვანეს სიახლედ განიხილება ის გარემოებაც, რომ საქართველოს მოქალაქეებს, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, დაუბრუნდათ სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების რეალიზების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან საქმიანობის განსახორციელებლად ნებართვის (ამჟამად - „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების“) მოპოვების ახალი წესები მოქმედებს, დაგეგმილი საქმიანობების განმახორციელებლები, ზოგ შემთხვევაში, კვლავ ხელმძღვანელობენ ძველი, ამჟამად უკვე ძალადაკარგული ნორმებით. ეს სერიოზული პრობლემაა პროცესში ჩართული ყველა მხარისთვის - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, დაინტერესებული საზოგადოებისთვის და თავად საქმიანობების განმახორციელებლებისთვის - უპირველეს ყოვლისა.

ამ პრობლემური ვითარების შექმნაში, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ნებსით თუ უნებლიედ, დიდი წვლილი შეიტანა თქვენდამი დაქვემდებარებული სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების

ნებართვების დეპარტამენტი. დეპარტამენტი, 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ, კვლავ ხელმძღვანელობს ძალადაკარგული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით და სამინისტროს ვებ-გვერდზე ათავსებს 2017 წლის ნოემბერში, დეკემბერსა და 2018 წლის იანვარში საქმიანობების განმახორციელებლების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებებს.

ვფიქრობთ, საგანგაშოა, რომ მოქმედი კანონით - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ - მოთხოვნილი პროცედურების დარღვევით, დღეისათვის, სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სულ მცირე, 54 განცხადება. განცხადებები ეხება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ ისეთ საქმიანობებს, როგორცაა, მაგალითად: მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოები ჭიათურაში, ონის ჰესების კასკადი, ცემენტის ქარხნის მშენებლობა ფოთში, საყდრისის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის გაფართოვება, სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა და მრავალი სხვა (გთხოვთ, იხილოთ თანდართული სია).

ჩვენ მივმართეთ სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს, სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებებზე განმარტების მისაღებად. სატელეფონო საუბრისას, დეპარტამენტის თანამშრომელმა მიგვითითა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლზე და დასძინა, რომ ამ განცხადებებით გათვალისწინებული საქმიანობების შემთხვევაში, სამინისტრო ხელმძღვანელობს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით ნებართვის გასაცემად დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესებით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტი მართლაც ამბობს, რომ 2018 წლის 1 იანვრამდე (ანუ კოდექსის ამოქმედებამდე) ნებართვის გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები უნდა დასრულდეს წარმოების დაწყების მომენტისთვის მოქმედი წესების (ანუ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით დადგენილი წესების) შესაბამისად. რა თქმა უნდა, კოდექსის ეს გარდამავალი ნორმა ლოგიკურია და სამართლიანია. პრობლემა იმაშია, რომ ზემოაღნიშნული 54 დაგეგმილი საქმიანობიდან არცერთ შემთხვევაში არ დაწყებულა ადმინისტრაციული წარმოება 2018 წლის 1 იანვრამდე; 54 საქმიანობის განმახორციელებლიდან არცერთს მიუმართავს [გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების] სამინისტროსთვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის თხოვნით. მიუხედავად ამისა, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი თვლის, რომ ამ დაგეგმილი საქმიანობების მიმართ სამინისტრომ უნდა გამოიყენოს არა ახალამოქმედებული კოდექსის, არამედ „ძველი“ ნორმები.

ვიმედოვნებთ, რომ ზემოაღწერილი პრობლემური ვითარება სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციასა და ახალ სამართლებრივ მოთხოვნებთან პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანის ე.წ. გარდამავალ პერიოდთან არის დაკავშირებული და საქმე არ გვაქვს ადმინისტრაციულ

გადაცდომასთან, ან კიდევ უფრო მძიმე შემთხვევასთან - სახელმწიფო მოხელეებსა და დაგეგმილი საქმიანობების განმახორციელებლებს შორის კორუფციულ გარიგებებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გამოიკვლიოთ ამ წერილში აღწერილი სისტემური პრობლემის მიზეზები და მიიღოთ შესაბამისი ზომები ვითარების გამოსასწორებლად. ჩვენ, ჩვენი მხრივ, გამოვთქვამთ მზადყოფნას, შევხვდეთ შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლებს და ვიმსჯელოთ და დავაზუსტოთ წერილში დასმული საკითხები, თუ ამის საჭიროება იარსებებს.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.  
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე  
ადმასრულებელი დირექტორი

დანართი 1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2017 წლის 15 ნოემბრიდან 2018 წლის 15 იანვრის ჩათვლით გამოქვეყნებული განცხადებები :

1. დმანისის მუნიციპალიტეტში, შპს „RMG GOLD“-ის, (წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის)“ DN 300 მაგისტრალური გაზსადენის 73-75 კმ-ზე შპს „RMG GOLD“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან მილსადენის გადატანის“ პროექტი
2. ჭიათურის მუნიციპალიტეტში, შპს „მალკოს“ „მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტი
3. ხარაგაულისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის (E60 მაგისტრალი) ხევი - უბისა - შორაპანი - არგვეთას F3 მონაკვეთის (ქვ. წვეა-ბორითი) მშენებლობა - ექსპლუატაციის“ პროექტი
4. ხარაგაულისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის (E60 მაგისტრალი) ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას F2 მონაკვეთის (ბორითი-ხევი) მშენებლობა-ექსპლუატაციის“ პროექტი
5. ჭიათურის მუნიციპალიტეტში, შპს „იმერეთის“ „მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტი
6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „GIEC“-ის „ბჟუჟა 2“ „ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი“
7. ონის მუნიციპალიტეტში, სს „ონის კასკადი“ „ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტი
8. დმანისის მუნიციპალიტეტში, შპს „RMG GOLD“-ის „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (მოედნის გაფართოვება)“ პროექტი
9. ფოთის მუნიციპალიტეტში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ „ცემენტის საწარმოს საქმიანობის“ პროექტი
10. თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გურჯაანი-თელავის (30კმ) საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის“ პროექტი

11. ჩხოროწყუსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში, შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯის“ „220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ხობი-ჯვარი“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტი
12. მცხეთის მუნიციპალიტეტში, შპს „ცეკურის“ „ასფალტის საწარმოს“ პროექტი
13. გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის ბაკურციხე-წნორის (16კმ) საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტი“
14. ახმეტის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მონაკვეთის (ჯიბახევი-ხადორის ხეობა) მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროექტი
15. დუშეთის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების როშკა - დელისვაკის მონაკვეთის მშენებლობა/რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პროექტი
16. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, შპს „ბათუმ ციმენტოს“ „ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფრქვით) მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტი
17. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ „ბჟუჟა ჰესის დამატებითი ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეკონსტრუქციის პროექტი
18. შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ახალციხე-ბათუმის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის ბათუმი-შუახევის მონაკვეთის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი
19. ჭიათურის მუნიციპალიტეტში, შპს „ბარჯა 2015-ის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტი
20. ჩხოროწყუს, წალენჯიხის, მარტვილის, წყალტუბოსა და ხონის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ „77კმ-იანი, ჯვარი-წყალტუბოს 500 კმ

ელექტროგადამცემი ხაზისა და წყალტუბოში ახალი ქვესადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი“

21. მცხეთის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯეოფაუნერის“ „ძეგვიჰესის“ (11.42 მგვტ სიმძლავრის) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი
22. ქ. რუსთავში, შპს „სოლო“ ცემენტის საამქროს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი
23. ქ. თბილისში, შპს „გუდმეტის“ „ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს დაგეგმილი საქმიანობის პროექტი“
24. ხობის მუნიციპალიტეტში, შპს „ფაზის ოილის“ „ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტი
25. ქ. ბაღდათი, შპს „Georgian Green Power\_ის“ „წაბლარა ჰესის მშენებლობისა და ოპერირების პროექტი“
26. კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს მელიორაციის“ „მდ. თეძამზე დაგეგმილი წყალსაცავის მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტი
27. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სს „სუფსა ენერჯის“ „მდ. ბარამიძისწყალზე დაგეგმილი 8.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტი
28. ასპინძის მუნიციპალიტეტში, შპს „მტკვარი ჰესის“ „საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-11) ახალციხე-ნინოწმინდის საავტომობილო გზის კმ 20-კმ 22 მონაკვეთის გადატანის სამუშაოების და ექსპლუატაციის“ პროექტი
29. ქ. თბილისში, სადგურ ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ჯეო პლოიმერის“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავების საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი
30. თერჯოლის, წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ქუთაისის შემოსავლელი გზა-სამტრედიის მონაკვეთების 4 ზოლიან მაგისტრალად მოდერნიზების დეტალური პროექტი“

31. ონის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-16) ქუთაისი (ჭომი)-ალპანა-მამისონის უღელტეხილის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 139-ე კმ-ზე გზის ქვეშ მდ. რიონის ღვარცოფული ნაკადის გატარების მიზნით ხიდის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი
32. დაბა სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის საზღვარი) საავტომობილო გზის 106-ე კმ-ზე მდინარე ბიდარაზე მდებარე სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი
33. დაბა სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აჩხოთი-სნო-ახალციხე-ჯუთას ს/გზის (შ-147) კარკუჩა-ჯუთას კმ 7+520-კმ 15+230 მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი“
34. ხარაგაულისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის მეორე ლოტის, მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის კმ24+620-კმ50+244 მონაკვეთის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ექსპლუატაციის პროექტი
35. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-8 კმ-ზე მდ. თხილნარაზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტი
36. ჭიათურის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის საავტომობილო გზის მე-8 კმ. ზე, რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი- ქვაციხე-კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ. ზე, მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის პროექტი
37. ონის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგლოლო-ჭიორა-ღების საავტომობილო გზის მე-12 კმ-ზე მდ. ჩვეშურაზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი“

38. დმანისის მუნიციპალიტეტში, შპს „პრაიმ ენერჯის“ „მდ. შავწყაროსწყალზე (ყარაბულახი) დაგეგმილი 4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტი
39. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯის“ „მდ. ხობისწყალზე 44,5 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ხობი 2“ ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტი
40. დაბა სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აჩხოტი-სნო-ახალციხე-ჯუთას ს/გზის გაგრძელების, ჯუთა-როშკას სიგრძით 3.9 მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი
41. ქ. თბილისში, შპს „გრინ დეველოპმენტის“ „110 კვ ეგზ „დიდუბე-1ა-2ის“ №14-№15 საყრდნებს შორის რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტი
42. ჭიათურის მუნიციპალიტეტში, შპს „ბუკაპის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს რეკონსტრუქციის“ პროექტი
43. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „თათლის“ „ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი“
44. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში, შპს „ვეროცემენტის“ ცემენტის საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი
45. მარნეულის მუნიციპალიტეტში, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“ „500 კვტ ეგზ „მარნეული-აირუმის“ (500 კვტ ეგზ „მუხრანის №42 საყრდენიდან საქარტველო-სომხეთის საზღვრამდე)“ პროექტი
46. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „GEO-GYPSUS“-ის მიერ სოფელ აღთაკლიაში დაგეგმილი საქმიანობა
47. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (E-60) ავტომაგისტრალის, ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას F4 ქვ.წევა არგვეთას მონაკვეთის მშენებლობის პროექტი



48. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტი“
49. ფოთის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 სენაკი-ფოთი (შემოვლითი) - სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ფოთი-გრიგოლეთის მონაკვეთის (ეტაპი I) - მდ. რიონზე ხიდის მისასვლელი გზების მშენებლობა
50. ქ. რუსთავში, შპს „დიდოსტატის“ არსებულ საწარმოს ტერიტორიაზე, კლინკერისაგან ცემენტის დასამზადებელი 2 ახალი წისქვილის მოიწყოებისა და ექსპლუატაციის პროექტი
51. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „ბაზალეთი 2016“-ის „სახიფათო ნარჩენის წინასწარი დამუშავების, ნარჩენების აღდგენისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი განთავსების (ტყვიის შემცველი ჯართისა და ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი
52. ქ. თბილისში, შპს „იბეროილის“ ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი
53. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის კმ25+400-ზე, მდ. ხობისწყალზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი
54. საჩხერის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის, საჩხერე-ქვემო ხევის მონაკვეთის კმ0+000--კმ5+537 მშენებლობა-რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პროექტი